№ 1/1/67 09.11 2021

ბრძანება

შპს „ევროპული სკოლის“ ანტიბულინგის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპული სკოლის“ ანტიბულინგის პოლიტიკის ახალი რედაქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სკოლის მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის უფროსს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ევროპული სკოლის“ ანტიბულინგის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2020 წლის 04 აპრილის N1-44/1 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

ანტიბულინგის პოლიტიკა

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
მომზადებულია: ინოვაციური ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მიერ
პოლიტიკის შემუშავების თარიღი: ოქტომბერი, 2017
დოკუმენტის გადახედვის ბოლო თარიღი: ნოემბერი, 2021
ბოლო გადახედვა: მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიერ

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

ანტიბულინგის პოლიტიკა

შპს „ევროპული სკოლა“ (შემდგომში - „ევროპული სკოლა“ ან „სკოლა“) მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შექმნას და შენარჩუნებას, რომელშიც ყველა პიროვნებას ეპყრობიან პატივისცემითა და ღირსებით.

ბულინგი არ არის დაშვებული ევროპულ სკოლაში და მნიშვნელოვანია, რომ სკოლის საზოგადოების ყველა წევრი აცნობიერებდეს ამას.
სკოლა მკაცრად კრძალავს სასკოლო საზოგადოების წევრთა ან წევრების მიერ პიროვნების შეურაცხყოფას და ბულინგს რელიგიურ, ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროებების, ეროვნული წარმომავლობის, მოქალაქეობის ან სხვა ნებისმიერი ნიშნის მიხედვით.

ანტიბულინგის პოლიტიკის მიზნებია:

- აცნობოს სასკოლო საზოგადოებას, რომ ევროპული სკოლა მთელი სერიოზულობით უდგება ბულინგის პრობლემას;
- სკოლა მზად იყოს ბულინგის ყველა ფორმის პრევენციისთვის;
- ხელი შეუწყოს სკოლის პერსონალს და მთელ სასკოლო საზოგადოებას ბულინგის შემთხვევის იდენტიფიცირებასა და იმ პირის დაცვაში, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი;
- განსაზღვროს მოქმედებების პროცედურები ბულინგის ინციდენტის შემთხვევაში;
- დაეხმაროს და ასწავლოს მოსწავლეებს, როგორ დაიცვან თავი ბულინგისგან.

ბულინგის განმარტება

ბულინგი (ჩაგვრა) არის როცა ადამიანები არაერთხელ და განზრახ იყენებენ სიტყვებს ან ქმედებებს ვინმეს ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, რათა გამოიწვიონ ემოციური აშლილობა ან/და შეუქმნან რისკი მათ კეთილდღეობას. ეს ქმედებები, როგორც წესი, ჩადენილია იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც აქვთ მეტი გავლენა ან ძალაუფლება სხვაზე, ან სურთ რომ ვინმემ თავი იგრძნოს ნაკლებად ძლიერად ან უმწეოდ.
ბულინგმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსწავლეების ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას სკოლაში და უარყოფითად აისახოს მათ სწავლის უნარზე. ბულინგის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა, მისი პრევენცია.

ბულინგის მაგალითებია:

- ემოციური შეურაცხყოფა (მაგ., პირის იზოლირება ჯგუფიდან ან ემოციური შანტაჟი).
- მუქარა და დაშინება.
- სიტყვიერი ან წერილობითი ეპითეტები, მეტსახელები, ცინიკური შენიშვნები ან უარყოფითი სტერეოტიპები.
- მუქარის შემცველი ან მტრული წერილობითი ან გრაფიკული მასალა.
- ხუმრობები ან იუმორის სხვა სავარაუდო ფორმები, რომელიც ფაქტობრივად არის

დამამცირებელი ან მტრული.

▪ ფიზიკური შეურაცხყოფა (მაგ., დარტყმა, ჩქმეტა, შეფურთხება კბენა, ფეხის დარტყმა, ბიძგი და ა.შ.).

▪ სიტყვიერი ან მობილური ტელეფონით / ინტერნეტ (ინტერნეტით) შეტყობინებებით, ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით შეურაცხყოფა, მაგ. ინტერნეტ ჩატი, ბლოგები, ელ-ფოსტა, ქსელური საიტები და ა.შ. - ამ ტიპის არა–ფიზიკური ბულინგი შეიძლება შეიცავდეს სექსუალური ძალადობის ნიშნებს.

▪ კიბერ-ბულინგი კომუნიკაციის ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მაგ: მობილური ტელეფონები, ვიდეოები, კამერები, ინტერნეტსაიტები, სოციალური ქსელები, ელექტრონული წერილები, ტექსტური და მყისიერი მიმოწერის სერვისები, სოციალური მედია, როგორიცა Twitter და Facebook და სხვ.

▪ ვიდეო გაზიარების პროგრამები და ა.შ., რომლებიც შეიძლება შეიცავდეს რეალურ ან მანიპულირებად სურათებს და სექსუალური შინაარსის შეტყობინებებს.

▪ არასასურველი ქცევა, რომელიც გავლენას ახდენს სხვების ღირსებაზე, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ასაკთან, სქესთან, რელიგიასთან, ეროვნებასთან, რასასთან, ასაკთან, ჰომოფობიასთან, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებთან, სექსუალურ ორიენტაციასთან ან სხვა მახასიათებლებთან.

ბულინგის მაგალითების ჩამონათალი არ არის ამომწურავი და სხვა არასასურველი ქმედებებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ ბულინგს.

ბულინგთან ბრძოლა ევროპულ სკოლაში ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. პრევენცია;
2. გამკლავება ინციდენტებთან/ ინტერვენცია.

პრევენცია

▪ სკოლის თანამშრომლები ეცნობიან ანტიბულინგის პოლიტიკას და ბულინგის შემთხვევის ამოცნობისა და რეაგირებისთვის სკოლის მიერ დადგენილ პროცედურებს.

▪ სკოლის თანამშრომლებს უტარდებათ ბულინგის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი სემინარები.

▪ სკოლაში ყოველწლიურად ეწყობა ანტი-ბულინგ კვირეულები მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის, პროგრამის კოორდინატორების, საგნის მასწავლებლების ერთობლივი ორგანიზებით.

▪ სკოლის დეპარტამენტების უფროსები / საგნის მასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან, რომ ბულინგთან დაკავშირებული საკითხები იყოს კურიკულუმის და საგაკვეთილო პროცესის განუყოფელი ნაწილი.

▪ სასკოლო კურუკულუმის ფარგლებში, მასწავლებელი და ფსიქოლოგი მუშაობს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური სფეროების განვითარებაზე, მისაღები და მიუღებელი ქცევების გააზრებასა და შემუშავებაზე.

▪ სკოლის ანტიბულინგის პოლიტიკას მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს ასაკის შესაბამისი განმარტებებით.

გამკლავება ინციდენტებთან/ინტერვენცია

ინტერვენციული მუშაობა იწყება უშუალოდ ბულინგის შემთხვევის დადგომის შემდეგ. ინტერვენციის ფარგლებში:

▪ პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი უზრუნველყოფს კანონმდებლობითა და სკოლის რეგულაციებით დადგენილი ღონისძიებების გატარებას;

▪ ინციდენტის მართვაში აქტიურად ერთვება პროგრამის/სკოლის ფსიქოლოგი;

▪ ფსიქოლოგი აქტიურად მუშაობს ინციდენტში მონაწილე ორივე მხარესთან ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან.

ინტერვენციის პროცედურები:

· ბულინგის ნებისმიერი შემთხვევა, რომლის თვითმხილველიც გახდება სკოლის თანამშრომელი ან მოსწავლე, უნდა ეცნობოს პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორს/სკოლის ფსიქოლოგს/ ბავშვის უფლებების დაცვის ოფიცერს.

· გონივრულობის ფარგლებში, სკოლა დაიცავს თვითმხილველის კონფიდენციალობას.

· ბულინგის ნებისმიერი შემთხვევა, უნდა იქნას გამოძიებული.

· ინცინდენტის შესახებ დგება ახსნა-განმარტებითი ბარათები/ოქმები/დასკვნები. ინვიდენტის ამსახველი ყველა მასალა ინახება სკოლის მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურში.

· ინცინდენტის /შემთხვევის შესახებ სკოლის ადმინისტრაციის/დამრიგებლის მიერ დაუყოვნებლივ ეცნობება როგორც ბულინგის გამტარებელი მოსწავლის, ასევე იმ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი.

· სკოლის დირექტორს მიეწოდება სრული ინფორმაცია ინციდენტის/შემთხვევის შესახებ.

· საჭიროების შემთხვევაში დირექტორი ნიშნავს სამუშაო შეხვედრას ინციდენტის განსახილველად.

· ბულინგის გამტარებელი მოსწავლის მიმართ განისაზღვრება სკოლის რეგულაციებით გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინარული ზომები (გაფრთხილება, გაკვეთილიდან დროებით დათხოვნა, სკოლიდან დათხოვნა და სხვ.)

· თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი (მათ შორის კიბერბულინგი) შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112"-ის ცხელი ხაზის ნომერზე – 112.

ფსიქოლოგის მუშაობა:

· ინცინდენტის მონაწილეთა ურთიერთობის უკეთ გასაგებად, ფსიქოლოგი აკვირდება მათ ბუნებრივ გარემოში (კლასი, სკოლის ეზო ა.შ);

· ინცინდენტის ორივე მხარის შესახებ, გამოიკითხება მათი ყველა მასწავლებელი ინტერვიუს ან კითხვარის საშუალებით.

· მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლის ფსიქოლოგი გეგმავს ინდივიდუალურ მუშაობას ბულინგის გამტარებელ მოსწავლესთან.

· ფსიქოლოგი გეგმავს ინდივიდუალურ მუშაობას ბულინგის გამტარებელი მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

· ფსიქოლოგი გეგმავს ინდივიდუალურ მუშაობას იმ მოსწავლესთან, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი, მისი გაძლიერების მიზნით.

· ფსიქოლოგი გეგმავს ინდივიდუალურ მუშაობას იმ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი.

· სკოლის ფსიქოლოგმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს ინცინდენტის მონაწილე მხარეებთან წყვილში/ჯგუფურად მუშაობა.

· მასწავლებელთან ერთად იგეგმება საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან გამოსაყენებელი აქტივობები - საუბარი, დისკუსია, ფილმი, ნაწარმოების გარჩევა, გუნდური სახალისო თამაშები.

· მასწავლებელთან ერთად წყდება, ბულინგის მონაწილეთა ფიზიკური დისტანცირების საკითხები, რათა შემდგომი ინცინდენტისგან მაქსიმალურად იყოს დაცული მოსწვალე, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, თუ ხართ პირი, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი?

▪ გახსოვდეთ, რომ დუმილი არის ბულინგის ყველაზე დიდი იარაღი!

▪ უთხარი საკუთარ თავს, რომ თქვენ არ იმსახურებთ ბულინგს და რომ ეს არასწორია!

▪ სთხოვეთ დახმარება თქვენს მრჩეველს / მშობელს/ სკოლის ექიმს ან სხვა სრულწლოვანს, ვისთანაც კომფორტულია თქვენთვის საუბარი.

▪ შეეცადეთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე.

▪ არ მისცეთ მტკივნეულ სიტყვებს უფლება რომ დაგამარცხოთ.

▪ იამაყეთ, იმით ვინც ხართ.

▪ სცადეთ რომ არ გამოავლინოთ წყენა. ეს რთულია მაგრამ ბულინგი საზრდოობს სხვის შიშზე.

▪ დარჩით მეგობრების/ხალხის ჯგუფში. უსაფრთხოება არის ხალხის რაოდენობაში.

▪ გადით ინტერნეტიდან! თავიდან აიცილეთ ინტერნეტის შემოწმება (მიუხედავად იმისა, რომ გსურთ).

▪ არ გასცეთ პასუხი ბულინგში მონაწილე პირებს – ონლაინ მიმოწერაში/საუბარში ჩართვამ შეიძლება თავი უარესად გაგრძნობინოთ.

▪ გაანეიტრალეთ ბულინგი იუმორით.

▪ გაუზიარეთ ეს ვისაც ენდობით –მეგობარს, მშობელს, მასწავლებელს, მენტორს.

▪ გაატარეთ უფრო მეტი დრო იმ ხალხთან, ვინც თავს უკეთ გაგრძნობინებთ.

▪ გახსოვდეთ, რომ მასწავლებლები/სკოლის სხვა თანამშრომლები თქვენ აღგვითქვამენ სერიოზულად და დაგეხმარებიან.

თუ იცი, რომ სხვა პირის მიმართ ხორციელდება ბულინგი:

▪ იმოქმედე! ყურება და უმოქმედობა ისე ჩანს რომ თითქოს თქვენ ბულინგის გამტარებელი

პირების მხარეს ხართ. ეს კიდევ უფრო ცუდად ხდის პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ბულინგი და ის უფრო მარტოსულად გრძნობს თავს.

▪ თუ თქვენ გრძნობთ რომ ვერ ჩაერევით, მაშინ დაუყონებლივ უთხარით სრულწლოვანს. მასწავლებლებს/სკოლას აქვთ საშუალებები განახორციელონ შესაბამისი ქმედებები, თქვენთვის პრობლემების შექმნის გარეშე.

კიბერბულინგი

ევროპული სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კიბერბულინგს და მოსწავლეების ასეთი ტიპის ბულინგისგან დაცვას, განსაკუთრებით ონლაინ სწავლა-სწავლების პროცესში.

კიბერბულინგის განმარტება

კიბერბულინგი ეწოდება ქმედებას, როდესაც ვინმე გამიზნულად და განმეორებითად იყენებს ელექტრონულ მოწყობილობებს, ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს იმ მიზნით, რომ ავნოს ადამიანს ან ადამიანებს ელექტრონული ტექსტის, სურათების ან ვიდეოების გამოყენებით.

კიბერბულინგის მაგალითებია:

· ცრუ, სასტიკი შინაარსის მესიჯების გაგზავნა.

· საიტების შექმნა, რომელზეც ადამიანის დამამცირებელი ტექსტები, ნახატები, სურათები და ხუმრობებია ატვირთული.

· ელექტრონული ფოსტის გატეხვა და სამარცხვინო ან სასტიკი შინაარსის მასალების გაგზავნა.

კიბერბულინგის მაგალითების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და სხვა ქმედებებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ კიბერბულინგს.

კიბერბულინგი ქმნის არამეგობრულ, მავნებელ/არაუსაფრთხო გარემოს სკოლაში და მოსწავლის უსაფრთხოების და უფლებების დარღვევას წარმოადგენს. კიბერბულინგი და ძალადობა დაუშვებელია ევროპულ სკოლაში. დაუშვებელია დამაშინებელი და ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც შიშს უჩენენ მოსწავლეს საკუთარი უსაფრთხოების მიმართ.

ახალი ტექნოლოგიების შექმნასთან ერთად, იმატებს ელექტრონული კომუნიკაციის გზებიც. მოსწავლეების მიერ კიბერბულინგისთვის ხშირად გამოიყენება: სოციალური ქსელები, ფორუმები და სადისკუსიო ჯგუფები, კომპიუტერები, მობილური ტელეფონები და პერსონალური ციფრული მოწყობილობები, ციფრული კამერები, ვებ კამერები და სხვა.

განსხვავებები „ტრადიციულ" ბულინგსა და კიბერბულინგს შორის:

· წვდომა 24/7-ზე - რაც განაპირობებს ურთიერთობის შესაძლებლობას ნებისმიერ დროს.

· ფართო აუდიტორიის პოტენციალი და მასალა, რომლიც ონლაინ სამუდამოდ დარჩება, მაგალითად: ფოტო, რომლის წაშლაც ინტერნეტ სივრციდან შეუძლებელია.

· მტკიცებულება - უმეტესობა კიბერბულინგის ინციდენტები შესაძლებლობას იძლევა მოვიპოვოთ მტკიცებულება, მაგალითად, „სქრინ შოთის" ანუ ეკრანის ფოტოს სახით, რომელსაც

შემდეგ ვუჩვენებთ სკოლის პერსონალს ან საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებს.
• ვინაობის დამალვის შესაძლებლობა - კიბერბულინგის დროს ბულინგის გამტარებელ პირს საშუალება აქვს დამალოს საკუთარი ვინაობა, რაც მსგავს ინციდენტებს კიდევ უფრო საშიშს ხდის.
• დისტანცია - კიბერბულინგის დროს ბულინგის გამტარებელი პირი ხშირად ვერ ხედავს იმ პირის რეაქციას, რომლის მიმართაც ხორციელდება ბულინგი და შესაბამისად ვერ იაზრებს საკუთარი ქმედებების შედეგს.

კიბერბულინგის პრევენცია:

მასწავლებლები:

• აუხსენით მოსწავლეებს, რა არის კიბერბულინგი, მისი მნიშვნელობა და რა ზიანი მოაქვს მას.
• აუხსენით კიბერუსაფრთხოების წესები. შესთავაზეთ შესაბამისი აქტივობები უკეთ დასამახსოვრებლად.
• უთხარით/აგრძნობინეთ მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ მოგმართონ ონლაინ ჩაგვრის/ძალადობის ინციდენტების შემთხვევაში.
|• მიიღეთ მონაწილეობა ტრენინგებში კიბერბულინგის შესახებ, რათა უკეთ გაიგოთ მისი მნიშვნელობა და ისწავლოთ სტრატეგიები მასთან გასამკლავებლად/საბრძოლველად.
• დაამყარეთ საკლასო ოთახში ურთიერთპატივისცემის და ტოლერანტული გარემო.
• გაკვეთილის გეგმაში ჩართეთ ინტერნეტი და სოციალური ქსელები და ასწავლეთ სხვების მიმართ პატივისცემით მოპყრობა ონლაინ პირობებში.
• იმუშავეთ მშობლებთან, რათა გააგებინოთ კიბერბულინგის არსი.
• დაამკვიდრეთ წესები კიბერბგულინგის წინააღმდეგ საკლასო ოთახში.

მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები:

• აკონტროლეთ ბავშვების ონლაინ აქტივობა.
• ჩამოართვით ბავშვებს მობილური ტელეფონი, თუ შეამჩნევთ სხვების მიმართ უხეშად მოპყრობის ინციდენტებს.
• ასწავლეთ ბავშვებს, რომ მართებთ პასუხისმგებლობის გამოჩენა ტექნოლოგიების გამოყენების დროს.
• გაიგეთ, თუ ვისთან ურთიერთობენ ბავშვები ონლაინ.
• შეისწავლეთ ბულინგის მსხვერპლის ამოსაცნობი ნიშნები.
• ისწავლეთ იმ ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებსაც იყენებენ ბავშვები, რომ გქონდეთ წარმოდგენა მათი ონალაინ სამყაროს შესახებ.

მოსწავლეები:

• დაფიქრდით ნებისმიერი მასალის ონლაინ გამოქვეყნების წინ და მოერიდეთ შეტყობინენეს, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიონ თქვენს რეპუტაციაზე/სახელზე.
• ისწავლეთ რა არის კიბერბულინგი და რა ქმედებებს გულისხმობს.
• მოერიდეთ შეუფერებელი/უადგილო სურათების გამოქვეყნებას, ვინაიდან ისინი შეიძლება კიბერბულინგის საბაბად იქცნენ.

• მოერიდეთ საეჭვო რეპუტაციის ადამიანებისგან შეტყობინების გახსნას.
• მოეპყარით ყველას და ყველაფერს პატივისცემით.

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სკოლის ვებგვერდზე. დოკუმენტის მიღება ასევე შესაძლებელია სკოლის ოფისში.

პოლიტიკის გაცნობა ხდება ახალ თანამშრომლებთან მათი სკოლაში მიღების დროს. ეს პოლიტიკა ვრცელდება როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ.

ბიბლიოგრაფია:

1. Accredited Schools Online. *Cyberbullying in School: Prevention and Support*. n.d. 2020. <https://www.accreditedschoolsonline.org/about-us/>.
2. ational Children's Bureau. *Anti-Bullying Alliance | United against bullying*. 2020. 2020. <http://www.anti-bullyingalliance.org.uk/>.
3. Healthdirect Australia. *Cyberbullying*. 2018. <https://www.healthdirect.gov.au/cyberbullying>.
4. Marymount International School. *ANTI-BULLYING POLICY*. n.d.
5. U.S. Department of Health and Human Services. *Stop Bullying on the Spot* . 2018. <https://www.stopbullying.gov>.
6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანება

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

Anti-Bullying Policy

Review frequency: Annual
Policy written by: Head of the Department of Innovative Technologies
Policy written in: October 2017.
Last review date: November 2021
Last reviewed by: Student Wellbeing Services

Sophio Bazadze
Director

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

Anti-Bullying Policy

European School is dedicated to maintaining a safe environment in which all individuals are treated with respect and dignity.

at ES are not acceptable and it is important that all members of the school community know this.

The School strictly prohibits harassment or bullying of or by any member of the school community. This includes harassment or bullying based on religion, color, gender, sexual orientation, special education needs and disability, national origin, citizenship, or any other basis protected by law.

Aims of anti - bullying policy

The aim of this policy is to try and prevent and deal with any behaviour deemed as bullying. The implementation of this policy will create an ethos where bullying is regarded as unacceptable so that a safe and secure environment is created for everyone to learn and work in.

All members of the school have a responsibility to recognise bullying when it occurs and take appropriate action in accordance with the school policy. The aims of this policy are

- to demonstrate that the ES takes bullying seriously and it will not be allowed in school.
- to take measures to prevent all forms of bullying in the School;
- to support everyone to identify and protect those who might be bullied;
- to help and teach the students to protect themselves from bullying.
- to determine steps and procedures following the incident.

Definition of Bullying

Bullying is when people repeatedly and deliberately use words or actions against someone or a group of people to cause distress and risk to their wellbeing. These actions are usually done by people who have more influence or power over someone else, or who want to make someone else feel less powerful or helpless.

Bullying can threaten students' physical and emotional safety at school and can negatively impact their ability to learn. The best way to prevent bullying is to stop it before it starts.

Types of bullying include:

- Emotional abuse (e.g. isolating an individual from the group or emotional blackmail).
- Threatening and intimidating.
- Verbal or written epithets, Name-calling, quips or negative stereotyping.
- Denigrating or hostile written or graphic material.
- Jokes or other forms of supposed humor that are in fact demeaning or hostile.
- Physical abuse (e.g. hitting, pinching, spitting, biting, kicking, pushing, etc.).
- Verbal or mobile telephone / online (internet) message abuse through any electronic means of communication, e.g. internet chat rooms, blogs, email, networking sites, etc. – this type of non-physical bullying may include sexual harassment.
- Cyber-bullying through any electronic means of communication e.g. mobile phones, videos, cameras, internet sites, social networking sites, emails, text and instant messaging services, social media, such as

Twitter and Facebook, photo-sharing and video-sharing applications, etc. – these can include real or manipulated images, and sexting[2].

✦ Unwanted conduct affecting the dignity of others related to age, sex, religion, nationality, race,, age, homophobic, special education needs and disability, disability, sexual orientation or any other personal characteristic.

This list is not all-inclusive. Other unwelcome acts or comments of an aggressive nature also may constitute bullying.

Strategies for Dealing with Bullying

There are essentially two strands to our policy:

1. Prevention – the whole school approach to awareness and prevention
2. Dealing with Incidents / intervention

Prevention

➢ School community is given training to ensure that they understand the purpose of the "Anti-Bullying Policy", the legal responsibilities of the School, how to identify bullying and report it immediately to program coordinator.

➢ School offers anti-bullying weeks (campaigns) annually, organized by student well-being team, programme coordinators and teachers.

➢ Head of Departments/subject teachers are responsible for raising anti-bullying issues as appropriate.

➢ Heads of departments / teachers are responsible to include bullying-related topics into the curriculum and discuss them in the classroom environment as part of teaching.

➢ Teachers and counsellor/psychologist collaborate to improve social and emotional skills and teach code of conduct, with appropriate activities, within the curriculum.

➢ Anti-Bullying policy is presented to students by teachers and explained in age appropriate language.

Dealing with Incidents / intervention

- If the School determines that this policy has been violated, the violator will be subject to appropriate disciplinary action;
- Programme coordinator decides the disciplinary consequences given to a bully, according to the legislation and school regulation.
- Programme counsellor/ psychologist is immediately involved in the incident management.
- Counsellor/psychologist works individually with each side of the incident, with their parents/guardians, teachers. If necessary, the counsellor works in groups or pairs.

Procedures

- Each case of bullying, witnessed by a student or staff, should be immediately reported to the head of the program/program coordinator/counselor/psychologist/ school child protection officer
- The school will make reasonable efforts to keep a report of bullying confidential.

• Incidents will be reported with an official protocol document.All incident materials are kept by the School Student Wellbeing Services.
• The incident will be reported to the parents or guardians of both sides immediately by a program coordinator or homeroom teacher.
• The school director will be immediately informing about the incident
• The bully will be the subject of a disciplinary action, determined by school protocol (internal exclusion, fixed term exclusion, etc.)

Counselling

• To have a broader picture of relationships and dynamics in the classroom, the counsellor/psychologist observes both parties in a natural environment (classroom, school yard).
• Teachers will be interviewed or asked to fill out a questionnaire in order to investigate the case.
• Based on the obtained information, the counselor / psychologist plans individual work with a bully.
• Counsellor/psychologist works with the parent/guardian of the bully.
• The bullied student gets support and regular counselling from the program counsellor.
• The parents/guardians of the victim get support and counselling from the program counselor/psychologist.
• If necessary, a school psychologist/counselor works in pairs with the parties.
• Teachers and counsellor /psychologist collaborate to plan the activities that should be used at class to target the problem – talks, discussions, film, short-stories, team building games, etc.
• Teacher and counsellor / psychologist collaborate to decide the physical distancing of parties, to prevent further cases.

What can you do if you are being bullied?

✦ Remember that silence is the bully's greatest weapon!
✦ Tell yourself that you do not deserve to be bullied, and that it is WRONG!
✦ Seek help from your advisor/houseparent/school nurse or any other adult whom you feel comfortable talking to.
✦ Try to stay calm.
✦ Don't let hurtful words beat you down.
✦ Be proud of who you are.
✦ Try not to show you are upset. It is hard but a bully thrives on someone's fear.
✦ Stay with a group of friends/people. There is safety in numbers.
✦ Get off the internet! Avoid checking the internet (even though you want to).
✦ Don't respond to online bullies – getting into online conversations/chats can make you feel worse.
✦ Brush it off with humor.
✦ Tell someone you trust – friend, parent, teacher, and mentor.
✦ Spend more time with people who make you feel good about yourself.
✦ Teachers/Staff will take you seriously and will support you.

If you know someone is being bullied:

✦ Take action! Watching and doing nothing looks as if you are on the side of the bully. It makes the victim more unhappy and on their own.

✦ If you feel you cannot get involved, tell an adult immediately. Teachers have ways of dealing with the bully without getting you into trouble.

Cyber Bullying

The European School pays special attention to cyberbullying and protecting students from this type of bullying when teaching and learning online.

Definition of Cyberbullying

Cyber Bullying is the use of electronic information and communication devices to willfully and repeatedly harm either a person or persons through the medium of electronic text, photos, or videos. Examples of this behavior include but are not limited to:

✦ Sending false, cruel, vicious messages

✦ Creating websites that have stories, cartoons, pictures, and jokes ridiculing others.

✦ Breaking into an email account and sending vicious or embarrassing materials to others.

Bullying of this nature creates a hostile, disruptive environment in the school and is a violation of a student's right to be safe and secure. Cyberbullying and Harassment will not be tolerated. Actions deliberately threatening, harassing, intimidating an individual or group of individuals, placing an individual in reasonable fear of harm or damaging the individual's property; or disrupting the orderly operation of the school, will not be tolerated.

The online activities and technologies often used by students engaged in Cyberbullying include but are not limited to social networking sites, chat rooms and discussion groups, instant messaging, text messaging, computers, cell phones and personal digital devices, digital cameras, cell phone cameras, and web cams. As new technologies emerge, they too may be included with the above forms of electronic communication.

Issues that make cyberbullying different from 'traditional' bullying:

✦ 24-7 nature - the nature of online activity means you can be in contact at any time.

✦ There is the potential for a wider audience and bullying incidents can stay online, for example: a photo that you cannot remove

✦ Evidence - a lot of cyberbullying incidents allow those experiencing it to keep evidence - for example, take a screenshot - to show to school staff or police if needed.

✦ Potential to hide your identity - it is possible to hide your identity online which can make cyberbullying incidents very scary

✦ Degree of separation - people who cyberbully often do not see the reaction of those experiencing it so it can sometimes be harder for them to see the impact of their actions.

Cyberbullying Prevention

Teachers:

✦ Let students know that it is OK for them to report any online abuse that happens to them.

✦ Participate in training on cyberbullying prevention to better understand it and learn strategies for addressing it.

✦ Teach students about what cyberbullying behaviors are and why they are wrong.

✦ Create an environment of mutual respect and tolerance in the classroom.

✦ Incorporate the internet and social media into lesson plans to teach students how to be respectful to others online.

✦ Work closely with parents so they understand cyberbullying.

✦ Implement anti-cyberbullying policies in the classroom.

Parents:

✦ Monitor children's online activities.

✦ Take away children's mobile devices if they are caught mistreating people online.

✦ ✦ Teach children how to use technology responsibly.

✦ Find out whom children are speaking to, and making friends with, online.

✦ Understand the signs of someone who is a bullying victim.

✦ Learn how to use the technology that children are using in order to get a perspective of their online world.

Students:

✦ Think before making every post online and avoid making posts that can have a negative effect on your reputation.

✦ Learn what cyberbullying is and what behaviors are involved in cyberbullying.

✦ Avoid posting inappropriate photos online because they can be the fuel that cyberbullies use.

✦ Avoid opening messages from known bullies.

✦ Treat everything and everyone with respect.

This document is available to anyone interested on the school website; It is also included in the student / parent textbook and can be requested at the school office.
The content of the policy is discussed directly with new employees upon their admission to the school.
This policy applies both inside and outside the school.

Bibliography:

1. Accredited Schools Online. *Cyberbullying in School: Prevention and Support*. n.d. 2020. <https://www.accreditedschoolsonline.org/about-us/>.

2. ational Children's Bureau. *Anti-Bullying Alliance | United against bullying*. 2020. 2020. <http://www.anti-bullyingalliance.org.uk/>.

3. Healthdirect Australia. *Cyberbullying*. 2018. <https://www.healthdirect.gov.au/cyberbullying>.

4. Marymount International School. *ANTI-BULLYING POLICY*. n.d.

5. U.S. Department of Health and Human Services. *Stop Bullying on the Spot* . 2018. <https://www.stopbullying.gov>.

6. Order of the Minister of Education, Science, Culture and Sports of Georgia of January 29, 2019 №06/n "On the Approval of the Rules and Conditions for the Protection of Security and Public Order in a School".